AR1814072 განაცხადზე (შემდგომში: განაცხადი) გაცემულ შუალედურ გადაწყვეტილების მე-2 პუნქტით მოგვეთხოვა "მისაწვდომობის ეროვნულ სტანდარტებთან" შესაბამისობის დაკსვნის წარმოდგენა. გამომდინარე იქედან, რომ შუალედურ გადაწყვეტილებაში მითითებული სხვა მოთხოვნები (კონსტურქციული პროექტი და მისი შეფასება, 41-ე დადგენილებასთან შესაბამისობა და სხვ.) კავშირშია ზემოხსენებულ მოთხოვნასთან, უპრიანია პირველ რიგში, გაირკვეს "მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების" საკითხი და შემდეგ სხვა დანარჩენი.

წინამდებარე განაცხადით, მოთხოვნილია მშენებლობის ნებართვის გაცემა იმ პროექტზე, რომელიც შეთანხმდა 2020 წლის 24 აგვისტოს, მაშინდელი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით. პროექტის შეთანხმების დროისთვის, "მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები", არათუ ძალაში არ იყო შესული, არამედ საერთოდ არ არსებობდა.

ამასთან, მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტებთან შესაბამისობის დასკვნის წარმოდგენა არ უნდა მოგვეთხოვოს, რადგან:

1. საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის (შემდგომში: კოდექსი) 108-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის მოქმედების ვადა სანებართვო წარმოების მე-3 სტადიის დაწყებამდე, 5 წელია. შესაბამისად, ცალსახაა, რომ 2020 წლის 24 აგვისტოს შეთანხმებული არქიტექტურული პროექტი ძალაშია.
2. კოდექსის 106-ე მუხლის მე-4 მუხლის თანახმად, **სამსტადიიანი წარმოების** შემთხვევაში, ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტების გარდა, დამატებით წარდგენილი უნდა იქნეს ამ კოდექსის 108-ე მუხლის საფუძველზე მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შესახებ. აღნიშნულ შემთხვევაში ამ მუხლის პირველი ნაწილის „ბ“, „გ“, „ვ“ და **„თ“** ქვეპუნქტებით განსაზღვრული დოკუმენტები არ მოითხოვება.

   განსახილველ შემთხვევაში, სახეზეა 3 სტადიანი წარმოება, რადგან არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა ხდება სხვადასხვა ეტაპზე. რა დროსაც, კანონი **კრძალავს,** მათ შორის, 108-ე მუხლის 1-ლი ნაწილის **თ** ქვეპუნქტით დაწესებული დოკუმენტის მოთხოვნას.

   108-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თ ქვეპუნქტით მოითხოვება: საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში – არქიტექტურული პროექტის, საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის, კონსტრუქციული სქემის/პროექტის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – აგრეთვე ტექნოლოგიური სქემის/პროექტის თაობაზე აკრედიტებული ინსპექტირების ორგანოს ან/და

სერტიფიცირებული ექსპერტის დასკვნას.

თქვენს მიერ მოთხოვნილი დასკვნა, პროექტის "მისაწვდომობის ეროვნულ სტანდარტებთან" შესაბამისობაზე, წარმოადგენს კოდექის 108-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "თ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტს, რომლის მოთხოვნაც იკრძალება კოდექსის 106-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად.

3. "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, საქართველოს საკანონმდებლო აქტებს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიმართ. კოდექსი წარმოადგენს საკანონმდებლო აქტს, რომელსაც გააჩნია უპირატესი ძალა კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტთან - საქართველოს მთავრობის 2020 წლის 04 დეკემბრის #732 დადგენილებასთან, რომლთაც დამტკიცდა "მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების" რეგლამენტი.

შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც კი არქიტექტურის სამსახური ჩათვლის, რომ #732 დადგენილების მე-2 მუხლის "ბ" ქვეპუნქტი აწესებს შეთანხმებულ პროექტებზე "მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტებისადმი" შესაბამისობის დასკვნის მოთხოვნის ვალდებულებას, აღნიშნული დასკვნა მაინც არ უნდა იქნას მოთხოვნლი, რადგან "მისაწვდომობის ეროვნულ სტანდარტებზე" უფრო მაღლა მდგომი ნორმატიული აქტი - კოდექსი კრძალავს მსგავსი დოკუმენტის მოთხოვნას. ხოლო, ზემოხსენებულ ორ ნორმატიულ აქტს შორის წინააღმდეგობისას გამოყენებული უნდა იქნას იერარქიულად უფრო მაღლა მდგომი ნორმატიულ აქტი - **კოდექსი.**

4. დამატებით მოგახსენებთ, რომ შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის მიმართ გაგვაჩნიდა კანონმდებლობით განსაზღვრული კანონიერი ნდობა. ინვესტიციის მოზიდვა, ბიზნეს პროექტის ბიუჯეტირება და ბიზნეს გეგმის შედგენა მოხდა სწორად შეთანხმებული პროექტის შესაბამისად. **(ამ პრინციპით ვაშენებთ აღნიშნულ ტერიტორიაზე ყველა შენობას, რის გამოც სხვა შენობების არქიტექტურული პროექტების შეთანხმებისას ვითხოვეთ პირობადადებული პროექტების შეთანხმება, რაც თქვენი მხრიდან დაკმაყოფილდა).**
შესაბამისად, შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტში ცვლილებების შეტანის მოთხოვნა, რაც, თავის მხრივ, კანონსაწინააღმდეგოა. წარმოშობს გაუთვალისწინებელ ხარჯებს, რისი რესურსიც კომპანიას არ გააჩნია.

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, გთხოვთ მოთხოვნების ჩამონათვალიდან მოხსნათ "მისაწვდომობის ეროვნულ სტანდარტებთან" შესაბამისობაზე დასკვნის წარმოდგენა, ხოლო ყველა სხვა მოთხოვნას წარმოვადგენთ თქვენს მიერ განსაზღვრულ ვადაში.